

საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო
ბათუმის სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი

მამულაძე მერაბი

სამთო პირობებში საკვების დამზადების მექანიზაცია
მცირე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით

სპეციალობა: 05.20.01. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნ. გაბუნია

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი საქართველოს სოფლის
მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი.

თბილისი

2005 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი.

1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კვება, მცენარეულობანი და მანქანათა კომპლექსი უხეში საკვების დამზადებისათვის.
 - 1.1. მ.რ.პ. კვებისათვის აუცილებელი ნივთიერებები და მათი მოქმედება ცხოველთა პროდუქტიულობაზე.
 - 1.2. საქართველოს სამთო პირობებში მდელოს ბალახთა თვისებები.
 - 1.3. უხეში საკვების დამამზადებელი მანქანების დახასიათება.
2. ხელის მოტორიზირებული როტაციული სათიბელას სამუშაო ორგანოს მჭრელი დანების შერჩევა დასაბუთება.
 - 2.1. მჭრელი დანების გეომეტრიული ფორმები და ანალიზი .
 - 2.2. ექსპერიმენტალური მანქანის მუშაობა და გაზომვათა სტატისტიკური გამოკვლევა .
 - 2.3. ხელის მოტორიზირებული როტაციული სათიბელას მუშაობის ტექნოლოგიური პროცესი .
3. ხელის მოტორიზირებული როტაციული მჭრელი აპარატის დანის ღეროსთან მოქმედების მათემატიკური სქემა და გამოკვლევა .
 - 3.1. ღეროს ჭრაზე მოქმედი ფაქტორების დახასიათება .
 - 3.2. სეგმენტზე მოქმედი ძალები და მათემატიკური ანალიზი .
 - 3.3. ჭრის წინააღმდეგობის გამოკვლევა სეგმენტის მოძრაობის შესაბამისად .
4. მოტორიზირებული როტაციული მჭრელი აპარატის ძირითადი პარამეტრების გაანგარიშება .
 - 4.1. მჭრელი აპარატის სეგმენტებისა და ჭრის ზონის კოეფიციენტის ანგარიში .
 - 4.2. მჭრელი აპარატის ზამზარის გაანგარიშება .
5. ხელის მოტორიზირებული როტაციული მჭრელი სათიბელას ექსპერიმენტული გამოკვლევა ლაბორატორიული და საველე ცდებით .
 - 5.1. თიბვის პროცესზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების განხილვა.
 - 5.2. ძირითადი ფაქტორების ექსპერიმენტული გამოკვლევა .

6. მანქანის საექსპლოატაციო და ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება .
- 6.1. საექსპლოატაციო და ეკონომიკური მაჩვენებლების მეთოდიკა და ანგარიში .
- 6.2. ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება.
ძირითადი დასკვნები .
გამოყენებული ლიტერატურა .

შესავალი

თემის აქტუალობა. მეურნეობრიობის თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა საშუალო და დაბალი სიმძლავრის ენერგეტიკულ და მცირე ტექნიკურ საშუალებებზე. რადგან საკვების დამზადება ცხოველთათვის შრომატევადი საქმეა, ამიტომ გადასაწყვეტია საკვებწარმოების მექანიზაციის პრობლემები საქართველოს მთაგორიანი რელიეფის პირობებში. აღნიშნულიდან გამომდინარე მაღალი სიმძლავრის სასაფლო-სამეურნეო აგრეგატების გამოყენება შეუძლებელია და მიზანშეწონილია დამუშავდეს მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებანი, რათა რთული რელიეფის პირობებში დროულად და შეუფერხებლად გადაიჭრას საკვების დამზადების პრობლემა.

საკითხის გადაწყვეტისათვის შეიქმნას საკვების დამზადების მცირე ტექნიკური საშუალებები მცირე სიმძლავრის ძრავების ბაზაზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია დამუსავდეს საკვების დამზადების ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალება მცირე სიმძლავრის ძრავების ბაზაზე, მიწების პრივატიზაციის, გლეხური და ფერმერული მეურნეობების გათვალისწინებით.

კვლევის ამოცანებია:

- საკვების დამამზადებელი მანქანათა კომპლექსის კრიტიკული ანალიზი და რაციონალური ტექნოლოგიური პროცესის დასაბუთება;
- ხელის მოტორიზირებული სათიბელას სქემის შერჩევა-დასაბუთება;
- ხელის მოტორიზირებული სათიბელას თეორიული გამოკვლევა და ძირითადი სამუშაო ორგანოს პარამეტრის დადგენა;
- ძირითადი სამუშაო ორგანოს პარამეტრების დადგენა;
- ექსპერიმენტული ხელის მოტორიზირებული სათიბელას გამოკვლევა ლაბორატორიულ პირობებში, მრავალფაქტორიანი ექსპერიმენტების დაგეგმვის მეთოდის გამოყენება;
- ექსპერიმენტული ხელის მოტორიზირებული სათიბელას შემოწმებითი საველე გამოცდები;

– ხელის მოტორიზირებული სათიბელას ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება.

კვლევის ობიექტი. 3,5 კვტ. სიმძლავრის ბენზო ძრავას ბაზაზე შექმნილი ხელის მოტორიზირებული როტაციული სათიბელა, სამთო პირობებში მცირეკონტურიანი ნაკვეთები და კვლევისათვის საჭირო ხელსაწყოები.

მეცნიერული სიახლე. დადგენილია ხელის მოტორიზირებული სათიბელას ძირითადი სამუშაო ორგანოს, მჭრელი აპარატის ძირითადი პარამეტრების გაანგარიშების მეთოდიკა სამთო პირობებში მცირე მექანიზაციის ტექნიკურ საშუალებებზე მისი გამოყენების ვარიანტში. მრავალფაქორიანი ექსპერიმენტების დაგეგმვის მეთოდის გამოყენებით დამყარებულია კავშირი მანქანის სიჩქარის, კუთხურ სიჩქარეს, ღეროების რაოდენობასა და მოდების განს შორის. აღნიშნული საშუალებას იძლევა მჭრელი აპარატი ვმართოთ აგროტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად. დადგენილია მოტორიზირებული ხელის სათიბელას საექსპლოატაციო და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

სამუშაოს პრაქტიკული ღირებულება. პრინციპული სქემის და ცატარებული თეორიულ-პრაქტიკული კვლევების შედეგების საფუძველზე შეიქმნა მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალება სამთო პირობებში საკვების დამზადების ტექნოლოგიური პროცესის შესასრულებლად.

სამუშაოს აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები მოხსენებული იქნა ბათუმის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის 2002-2005 წლების ყოველწლიურ კონფერენციებზე, მექანიზაცია-ელექტროფიკაციის კათედრის სხდომაზე 2005 წ.

პუბლიკაცია. დისერტაციის მასალები გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომში, სადაც წარმოდგენილა ჩატარებული სამუშაოს ძირითადი შედეგები.

სამუშაოს მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავალის, ექვსი თავის, დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის და დანართისაგან. ნაშრომი გადმოცემულია 120 ნაბეჭდ ფურცელზე. შეიცავს ---- ცხრილს და ---- სურათს.

თავი I.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კვება, მცენარეულობანი და მანქანათა კომპლექსი უბეში საკვების დამზადებისათვის

1.1. მ.რ.პ. კვებისათვის აუცილებელი ნივთიერებები და მათი მოქმედება ცხოველთა პროდუქტიულობაზე

დღევანდელ პირობებში ფერმერებს, სოფლის მოსახლეობას და ვისაც კი რაიმე კავშირი აქვს მეცხოველეობასთან, უნდა ჰქონდეს ცოდნა ცხოველთა კვების შესახებ, უნდა ვიცოდეთ მათი კვების სწორი ორგანიზაცია, კვების ნორმები, სხვადასხვა სახის, ასაკის, სქესის ცხოველთა კვება, საკვებთა დამზადების ტექნოლოგიები, ვიტამინების, მინერალური ნივთიერებების მნიშვნელობა, საკვებ საშუალებათა ქიმიური შემადგენლობა და ყუათიანობა [1].

კვება ცხოველთა ზრდა-განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, უდიდეს გავლენას ახდენს მის ჯამრთელობასა და პროდუქტიულობის მაქსიმალურად გამომჟღავნებაზე. პრაქტიკით დადგენილი და დასაბუთებულია, რომ მაღალპროდუქტიული ჯიშები უ იძლევა უ იქმნას მხოლოდ სარულფასოვანი და მიზანმიმართული კვების საფუძველზე.

ცხოველთა კვების სწორი ორგანიზაცია გულისხმობს პირუტყვის სრულად დაკმაყოფილებას ორგანიზმისათვის საჭირო ყველა აუცილებელი საზრდო და მინერალური ნივთიერებებით, ვიტამინებით, ანუ დაბალანსებული საკვები ულუფით (რაციონით) ცხოველების უზრუნველყოფას და წარმოადგენს უმთავრეს და განმსაზღვრელ ფაქტორს ცხოველთა პროდუქტიულობისა, ამასთან საკვების შერჩევაზე დიდად არის დამოკიდებული პროდუქციის ხარისხიც [2].

თანამედროვე ნორმები ითვალისწინებს ცხოველის ორგანიზმის მოთხოვნილებას ენერგიაზე, საკვებ ერთეულზე, მშრალ ნივთიერებაზე, მონელებად პროტეინზე, ნახშირწყლებზე (სახამებელი, შაქარი) ნედლ უჯრედანაზე, ნედლ ცხიმზე, სუფრის მარილზე, მაკრო და მიკროელემენტებზე, კალციუმზე, ფოსფორზე, მაგნიუმზე, კალიუმზე, იოდზე, კაროტინზე, „დ“ და „ე“ ვიტამინებზე, სულ 24

მაჩვენებელზე [1]. დღეისათვის ჩვენ ქვეყანაში ცხოველთა კვების ნორმირება ხდება 6 მაჩვენებლის მიხედვით: საკვები ერთეული, მონელებადი პროტეინი, კალციუმი, ფოსფორი, კაროტინი, სუფრის მარილი [3]. ეს ნორმირება დასაშვებად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან გლეხურ მეურნეობებში არსებული პირუტყვი პროდუქტიულობით, ცოცხალი მასით, საკვები ბაზის და შენახვის პირობების მიხედვით ვერ პასუხობს კვების ახალი სისტემის გამოყენებას. ხელს უშლის ისიც რომ დღევანდელ პირობებში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც კი არ არიან უზრუნველყოფილნი მატერიალურ ტექნიკური ბაზით ახალი რაციონალური კვების სისტემის დასაწყებად.

ცხოველთა ნორმირებული კვების ორგანიზაცია ხდება ცხოველის სახის, ასაკის, ცოცხალი მასის, პროდუქტიულობის მიმართულების (მერძეული, მეხორცეული) და შენახვის პირობების მიხედვით. ამის შემდეგ დგება კვების ნორმა ჯგუფის ერთ საშუალო ცხოველზე, ხოლო რეალურად არსებული საკვები საშუალებებიდან გამომდინარე, დგება ჯგუფისათვის საერთო ულუფა. ულუფის შედგენაში უნდა გავითვალისწინოთ ზონის საკვები ბაზა, მისი განვითარების პერსპექტივები, ბუნებრივი სავარგულების რაოდენობა და ზონაში გავრცელებული ცხოველთა ჯიში.

საკვები ერთეული – არის საკვების კვებითი ღირებულება ანუ საპროდუქციო ღირებულების საერთო საზომი [2]. მის ერთეულად მიჩნეულია 1 კგ საშუალო ხარისხის შვრიის მარცვლის კვებითი ღირებულება.

1 კგ საკვები ერთეულის 1 კგ საშუალო ხარისხის შვრიის საპროდუქტო ღირებულება 149 გ ცხიმის დაგროვება, ძროხის ორგანიზმში. მაგალითად 1 კგ მდელოს ბალახის ყუათიანობა არის 0,25 კგ საკვები ერთეული, იონჯის თივის - 0,49, სიმინდის 1,34 კგ.

მონელებადი პროტეინი – არის საკვების მშრალი ნივთიერებების ორგანული ნაწილი აზოტოვანი და უაზოტო ნაერთებისაგან (2). პროტეინის შემადგენლობაშია ცილები და სხვა ქიმიური ნაერთები, რომლებიც შეიცავენ აზოტს. ესენია ე.წ. ამიდები. ცხოველის იმ რაოდენობას, რომელიც მოინელება ცხოველის ორგანიზმში მონელებადი პროტეინი ეწოდება. პროტეინით მდიდარი საკვები საშუალებებია:

თევზის ფქვილი, მზესუმზირას კოპტონი, ბარდის მარცვალი, სოიო, ბალახის ფქვილი, იონჯის თივა, მთის თივა, მთის სამოვარი და სხვა.

მინერალური ნივთიერებები – ცხოველებში წარმოქმნიან ძვლოვან ქსოვილებს და მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლის მრავალ პროცესში. ცხოველთა ორგანიზმში დაახლოებით 68 ქიმიური ელემენტი, მათგან 47 წარმოადგენს ორგანიზმის მუდმივ შემადგენელ ნაწილს.

ცხოველთა მინერალური მარილების გარეშე კვება იწვევს მათ გარდაუღალ სიკვდილს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოთხოვნილება ზედმეტადაც იყოს დაკმაყოფილებული ენერგიაზე და ორგანულ ნივთიერებებზე (პროტეინი და სხვა).

მინერალური ნივთიერებების ნაკლებობის დროს ცხოველთა ორგანიზმი იწვევს ფუნქციონალური, აღწარმოების, წველადობის შემცირების დაზღვევას. ყოველივე ამის გათვალისწინებით ყურადღება უნდა მიექცეს ულუფაში მინერალური ნივთიერების და ვიტამინების შემცველობას.

ფოსფორი – ცხოველებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ელემენტია [1]. იგი არის სტრუქტურული მასალა სხეულის ქსოვილის ასაშენებლად. მისი მონაწილეობით მიმდინარეობს 10-ზე მეტი სასიცოცხლო ფუნქცია. იგი სტიმულატორია ყველა სასიცოცხლო უჯრედში საკვების გამოყენებისა. ულუფაში ფოსფორის უკმარისობა იწვევს ცხოველის საერთო მდგომარეობის გაუარესებას, მადის დაქვეითებას, ძვლების დავადებას, რაქიტს და სხვა. ქრონიკული უმრავლესობის შემთხვევაში ირღვევა ნივთიერებათა ცვლა და პროდუქტიულობის დაქვეითება [3]. ფოსფორის უკმარისობის ლიკვიდაციისათვის საჭიროა ფოსფორის შემცველობის გადიდება მცენარეულ საკვებში, კერძოდ ნიადაგში ფოსფოროვანი სასუქების შეტანით. ფოსფორით მდიდარი მცენარეული საკვებია სოიო, სიმინდი, ხორბალი, მთის თივა, მდელოს თივა, მწვანე იონჯა [2].

კალციუმი – ცხოველის ორგანიზმის მნიშვნელოვანი ელემენტი. ორგანიზმში არსებული კალციუმის 97-99 % შედის ძვლებსა და კბილების შემადგენლობაში. დიდ როლს თამაშობს სისხლის შედედებაში და კუნთოვანი ქსოვილების აღზუნებაში. მისი ნაკლებობა ახალგაზრდა ცხოველებში იწვევს ზრდის შეჩერებას, რაქიტით დაავადებას, სისხლში ეცემა კალციუმის შემცველობა. კალციუმის

უკმარისობით გამოწვეული დაავადებები შეიძლება ავიცილოთ ცხოველთა ისეთი საკვებებით როგორცაა: მთის თივა, მზესუმზირას კოპტონი, თევზის ფქვილი და სხვა. ჩვენ ქვეყანაში ცხოველთა საკვებად ჭარბადაა გამოყენებული თივა, ნამჯა, სილოსი, მწვანე მასა და ძირხვენები, ხოლო კონცენტრირებული საკვები მცირე რაოდენობით. აღინიშნება ფოსფორის უკმარისობა 20-25 % და კალციუმის სიჭარბე 15-20 %-ით[11].

ვიტამინების – როლი იმდენად დიდია, რომ მათ გარეშე შეუძლებელია ცხოველის ორგანიზმის არსებობა. ცხოველის ორგანიზმში ვიტამინის ნაკლებობის შედეგად გამოიქვანება დაავადებას ავიტამინოზი ეწოდება. კაროტინი - ღვიძლში გარდაიქმნება „ა“ ვიტამინად, რომელიც აუცილებელია ყველა სახის და ასაკის ცხოველისათვის. „ა“ ვიტამინის ნაკლებობა იწვევს ლორწოვანი გარსის გადაგვარებას, ინფექციური დაავადებების ზრდის საშიშროებას, სიგამხდრეს, მამრობითი სქესის პირუტყვის სასქესო ჯირყვლების გადაგვარებას და სხვა. „ა“ ვიტამინის ნაკლებობას თავიდან ავიცილებთ, თუ ცხოველთა საკვებად გამოვიყენებთ იონჯას და სამყურას მწვანე მასას, ბალახის ფქვილს, თევზის ქონს, პრეპარატებს და სხვა [3].

სუფრის მარილი – შეიცავს 39,9 % ნატრიუმს ღია 60,7 % ქლორს. იგი აუცილებელია ყველა სახის ცხოველისათვის. სუფრის მარილით ცხოველის დაკმაყოფილება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც მცენარეული საკვების უდიდესი ნაწილი ღარიბია ნატრიუმითა და ქლორით, გარდა ამისა იგი აუმჯობესებს საკვების გემოს.

წყალი – ცხოველთა ჯანმრთელობისა და პროდუქტიუ-ლობისათვის აუცილებელი ნივთიერებაა. წყალი არის გამხსნელი მთელი რიგი ნივთიერებებისა და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზმში მიმდინარე პროცესებში. მაგალითად 300 კგ მ.რ.პ. წყლის შემცველობა არის - 61 %. ხოლო ღორებში - 44%. სასმელი წყლის ტემპერატურა უნდა იყოს 8-12⁰-ის ფარგლებში. დასაწყურებლად საუკეთესოა გამოვიყენოთ ავტომატური სარწყურებლები, რაც აუმჯობესებს ცხოველთა პროდუქტიულობას[24]. უხარისხო წყლით დაწყურება შეიძლება გახდეს ინფექციური და ინფაზიური დაავადებების წყარო და მიზეზი მოწამლვისა [14].

ზედმეტად თბილი წყალი ცუდად კლავს წყურვილს. არ არის რეკომენდირებული ცხოველთა დაწყურება ნორჩ ბალახებზე ძოვების შემდეგ. წყლის ნორმები ასაკის ცვალებადობის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით (ცხრილი 1) ([25].

ცხოველთა გამოკვების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ულუფის შედგენა. ულუფის შედგენა რთული არ არის, მაგრამ

ცხრილი 1.1

ცხოველთა ჯგუფი	სულ	ნორმა ერთ სულზე (ლ)		
		დასწყურებლად	მათ შორის თბილი	შენიშვნა
მეწველი ფურები	100	65	15	
უშობელი და ბულები	60	40	5	
ხბოები	20	10	2	
მოზარდი	30	25	2	
ზრდასრული ცხვრები	8	6	2	
მოზარდი	4	3		
კერატები	25	10		
მაკე ღორები	25	12		ცხელი და მშრალი კლიმატის რაიონებში ნორმები უნდა გაიზარდოს 25 %-ით
მაწოვარი დედა-ღორი	60	20		
სარემონტო მოზარდი	15	6		
სასუქი ღორი	15	6		
ზრდასრული ფრინველი	0,46	0,27		
მოზარდი	0,31	0,34		
ზრდასრული ბატი	2,5	1,5		
მოზარდი	1,8	1,3		
ზრდასრული იხვი	2,6	1,7		
მოზარდი	2,1	1,2		

ცხრილი 1.2

ბუღალტრის ირგვლივა	ტანის ირიბი სიგრძე															ბუღალტრის ს ირგვლივა	
	125	130	135	140	145	150	155	160	165	170	175	180	185	190	195		
	ცოცხალი წონა კგ																
125	164																125
130	130																130
135	196	203	213														135
140	216	223	231	241													140
145	232	240	250	259	268												145
150	247	256	266	277	285	296											150
155	264	274	285	295	306	317	328										155
160	282	290	301	313	324	334	347	356									160
165	-	310	323	339	347	358	370	381	394								165
170	-	-	342	355	368	380	396	404	417	431							170
175	-	-	-	374	390	403	417	429	443	457	470						175
180	-	-	-	-	414	428	443	452	471	486	500	515					180
185	-	-	-	-	-	449	464	478	494	508	524	540	525				185
190	-	-	-	-	-	-	492	506	522	538	555	572	585	602			190
195	-	-	-	-	-	-	-	531	549	566	582	600	615	633	648		195
200	-	-	-	-	-	-	-	-	580	597	614	634	649	667	684		200
205	-	-	-	-	-	-	-	-	-	626	644	662	680	699	717		205
210	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	678	699	716	736	754		210
215	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	734	751	773	792		215
220	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	782	804	825		220
225	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	843	863		225
230	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	905		230

ცხრილი 1.3

საკვები	დღეში 10 კგ წველადობისას				დღეში 10-20 კგ-მდე წველადობისას			
	ცოცხალი მასა							
	200	300	400	500	200	300	400	500
ბაგურ პერიოდში								
უხეში	40	40	40	39	33	32	30	30
მ.შ. თივა	24	23	24	22	20	19	20	18
წვნიანი	41	42	40	43	44	43	43	40
მ.შ. სილოსი	41	42	40	43	44	40	36	36
ძირხვენეული	-	-	-	-	3	5	7	9
კონცენტრატი	19	18	20	18	20	20	20	21
საძოვრულ პერიოდში								
თივა	5	5	5	5	5	5	5	5
მწვანე ბალახი	85	85	85	85	70	70	70	70
კონცენტრატი	0-10	0-10	0-10	5-10	15-20	15-20	15-20	20-25

ცხრილი 1.4

საკვების დასახელება	ულუფის სტრუქტ. %	საკვების რაოდენ. (კგ)	საკვები ერთ. (კგ)	მონელება დი პროტეინი (გ)	კალციუმი (გ)	ფოსფორი (გ)	სუფრის მარილი (გ)	კაროტინი (გ)
1	2	3	4	5	6	7	8	9
თივა მდელოსი	25	5,4	2,25	254	32,4	11,3	-	81
ნამჯა ხორბლის	10	4,0	0,90	40	17,6	3,1	-	22
სილოსი სიმინდის	44	20	3,96	280	30,0	10,0	0	300
ქატო ხორბლის	15	1,9	1,35	239	3,4	16,9	0	5
კოპტონი მზესუმზირის	3	0,3	0,27	119	1,0	3,0	-	-
იონჯის ფქვილი	3	0,3	0,27	40	4,3	0,9	-	78
ულუფა შეიცავს	100	-	9,0	972	88,7	45,2	-	486
ნორმით ეკუთვნის	-	-	9,0	960	60,0	40,0	60	370
სიჭარბე +	-	-		12	28,7	5,2	-	116
ნაკლები -								

საკმაოდ შრომატევადია. ულუფის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ ფურის ცოცხალი მასა, დღე-ღამური მონაწველი, რძის ცხიმის პროცენტი, კვების ნორმები, რეალურად არსებული საკვები საშუალებების ყუათიანობა და რაოდენობა გარკვეული პერიოდისათვის.

ცოცხალი მასის დასადგენად საჭიროა აწონვა, მაგრამ ყოველი ფურის აწონვა შრომატევადი საქმეა, ამიტომ როცა აწონვის საშუალება არ არის, ცოცხალი მასის დადგენა შეიძლება ცხოველის განზომების მიხედვით. ამისათვის მეტრიანით ვიღებთ ორ განაზომს გულმკერდის ირგვლივ და ტანის ირიბ სიგრძეს. ამ ორი მონაცემის საფუძველზე 1.2 ცხრილის საშუალებით [1] დავადგენთ ფურის ცოცხალ მასას. ეს მასა არის საორიენტაციო, მაგრამ მიუხედავად ამისა ასეთი სიზუსტე რეალურად საკმარისია ფურების კვების ნორმების განსაზღვრისათვის. ულუფა მ.რ.კ.-ისათვის 400 კგ მეწველი ფურისათვის აღნიშნულია 1-3 ცხრილში.

როგორც აღვნიშნეთ მწვანე მასა, თივას და სილოსს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ცხოველთა კვების რაციონში, ამიტომ მისი დამზადება მოითხოვს გარკვეულ შრომატევად საქმეს საქართველოს ისეთ რეგიონებში, სადაც განვითარებულია გლეხური ან ფერმერული მეურნეობები მეცხოველეობის დარგში [11]. საკვების დამზადების დროს უნდა ვიცოდეთ, რომ ბალახის შემადგენლობა დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა კლიმატურ პირობებზე. საქართველოში ბალახის აღების ტექნოლოგიური პროცესი შეგვიძლია დავყოთ ორ ძირითად ზონად – ბარის სტეპისებური და მთის ზონა.

1.2. საქართველოს სამთო პირობებში მდელოს

ბალახთა თვისებები

ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგიური სქემა საკვების აღებისათვის მოიცავს შემდეგ ოპერაციებს: 1. თიბვა, აჩეჩვა, ფოცხვა, აკრება. 2. თიბვა, აჩეჩვა, ფოცხვა, დაწნეხვა, პრესის შეგროვება. ბუნებრივ სათიბებსა და სამოვრებზე მცენარეთა მრავალნაირი სახეობა იზრდება, რომლებიც სხვადასხვა ბოტანიკურ ოჯახს [2] ეკუთვნის, სამეურნეო კვებითი და სხვა თავისებურებასთან დაკავშირებით საწარმოო პრაქტიკაში მიღებულია მათი შემდეგ ოთხ ჯგუფად

დაყოფა: ა) მარცვლოვნები, მარცვლოვანთა ოჯახი, ბ) პარკოსნები, პარკოსანთა ოჯახი, გ) ისლისებრნი-შედის ორ ოჯახში-ისლისებრნი და ჭალისებრნი, დ) ნაირბალახეული - ყველა დანარჩენი ბოტანიკური ოჯახები, მარცვლოვანების, პარკოსნების და ისლისებრის გარდა.

ამ ჯგუფებში გაერთიანებულ მცენარეებს აქვთ არაერთნაირი ღირსება, თუმცა საწარმო პრაქტიკაში არა იშვიათად ყველა პერკოსნებს აკუთვნებენ საკვების თვალსაზრისით უფრო ძვირფასს, მარცვლოვნებს-ნაკლებად ძვირფასს, ხოლო ისლისებრთ და ნაირბალახეულთ დამაკმაყოფილებელს და ცუდს. უნდა აღინიშნოს, მითითებული სამეურნეო ჯგუფების ასეთი საერთო დახასიათება უმწეოა, ულუფებში არის სახეობები, რომელებიც კვებითი ღირებულების მიხედვით მაღლა დგას არა მარტო მარცვლოვანებზე, არამედ ზოგჯერ პარკოსნებზეც კი.

ცალკეული ოჯახის შიგნით ცალკეული საკვები მცენარის სახეობა ძალიან ძვირფასია, სხვები ნაკლებად ძვირფასი და მცირედღირებული, ხოლო ზოგიერთი მავნე და შხამიანიც კი განსაკუთრებით ეს ეხება ნაირბალახოვანთა ჯგუფს, სადაც შედის მრავალი ოჯახი, რომლებიც აერთიანებენ დიდი რაოდენობის სახეობებს, განსხვავებული კვებითი ღირებულებით.

ნაირბალახეულ ჯგუფში ყველა ოჯახის (მარცვლოვანთა, პარკოსანთა და ისლისებრთა გარდა) თავმოყრა დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს გარკვეული ზონისათვის, სადაც უწოდებენ ნაირბალახეულს, მარცვლოვან-ნაირბალახეულ მცენარეთა ჯგუფს და ა.შ.

ამჟამად საკვების თვალსაზრისით [2] შესწავლილია 4730 სახეობის მცენარე, ანუ დაახლოებით მთელ სახეობათა 30%. ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე უფრო მეტად გავრცელებულია მარცვლოვანი ბალახები, დაბლობ ადგილებში- ისლისებური, ხოლო ნაირბალახეულიდან ბალახთგარაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რთულყვავილოვანები და ნაცარქათამასებრნი. ამ ოჯახებიდან შესწავლილია მაგალითად: მარცვლოვანების 506, პარკოსნების 565, ისლისებრნის 192, რთულ ყვავილოვანთა 583, ნაცარქათამასებრთა 183. ამ ოჯახებში ყველაზე მეტი რაოდენობით საკვების თვალსაზრისით კარგი და დამაკმაყოფილებელი მცენარეები, სახელდობრ: მარცვლოვანები-90%, პარკოსნები-92%, ისლისებრნი-67%,

რთულყოფილად-54%, ნაცარქათამისებრი-72%, ამასთან ერთად ამავე ოჯახებში ყველაზე მცირედ არის შხამიანი და მავნე ბალახების პროცენტი.

მოტანილი მონაცემებით ჩანს, რომ საკვები მცენარეების შესასწავლი სახეობების რიცხვიდან მეტი რაოდენობა ფრიადი, კარგი და დამაკმაყოფილებელი ჭამადობის მოდის მარცვლოვანთა და პარკოსანთა ოჯახებზე. მცენარეები სხვა ოჯახებიდან თავის კვების თვისებებით განსხვავდებიან დიდი სხვადასხვაობით. ზოგიერთ ოჯახში დიდი რაოდენობა სახეობისა სახვების თვალსაზრისით ძალიან ძვირფასია, რიგი ოჯახები ძვირფას საკვებ მცენარეებთან ერთად შეიცავს მავნე და შხამიანი მცენარეების დიდ პროცენტს (ჯვაროსანთა, ქოლგოსანთა, მიტიტელასებრთა). არის ისეთი ოჯახები, რომელშიც საკვების თვალსაზრისით ბევრი მცენარე შხამიანია და მცირე ღირებულების (ბაისებრი, შროსანისებრი, ძაღლყურძენასებრი).

განვიხილოთ მეტად გავრცელებული ოჯახების დახასიათება. მათგან ცალკეული სახეობების, რომლებსაც აქვთ კვებითი ღირებულება [3] და სათიბების და საძოვრების მცენარეული საფარის მცენარეულობაში მნიშვნელოვანი წილი.

მარცვლოვანი ბალახები—ერთერთი ყველაზე გავრცელებული ოჯახთაგანია. ის 3500-მდე სახეობას შეიცავს. საქართველოში დახლოებით 500 სახეობამდე ითვლიან. მარცვლოვანების ოჯახის წარმომადგენლებს ხშირად განსხვავებულ კლიმატურ პირობებში ვეებერთელა ტერიტორია უჭირავს. მათი როლი ბალახოვანი მცენარეულობის დაჯგუფების შექმნაში ძალიან დიდი ადგილი 70%-ზე მეტი უჭირავს.

შედარებით მთის ზონებში მარცვლოვანების ხვედრითი წონა ბალახთაგარშითანდათან მცირდება, თუმცა ტყის ზონაში ხშირად მარცვლოვანები მნიშვნელოვან ადგილს იჭერენ.

მდინარეთა ჭალებში ზოგიერთი მარცვლოვანი ბალახი, მაგალითად, მხოხავი ჯანგა, მდელოს მელაკუდა, მდელოს თავაქასრა, ჩიტყეფტვა, თეთრი ნამიკრეფია, ჭალის მდელოების საერთო ჯამში 50%-ზე ნაკლებს არ შეადგენს, ზოგ მ მთხვევაში კი ერთიან მასივებს ქმნიან, რომელიც ერთი სახეობისაგან შედგება, მაგალითად: უფხო შვრიელას ან მხოხავ განგას ან მდელოს მელაკუდასაგან შედგება.

სადოვრებისა და თივის შემადგენლობის მარცლოვნების დიდ უმრავლესობას ცხოველი კარგად ჭამს. ცუდი ჭამადობის და არაჭამადობია მარცლოვნები მთელი რაოდენობის 10% შეადგენს, აქედან მავნე და შხამიანი 5%-ია. დანარჩენი მარცლოვნები ეკუთვნის ფრიად, კარგ და დამაკმაყოფილებელ ჭამადება, მარცლოვნებიდან ბევრი მათგანი შეტანილია კულტურაში.

მეზოფილური მარცლოვანები ფართოდ არიან გავრცელებული ნორმალურ კლიმატის რაიონებში, საშუალო ტენიანობის პირობებში, ისინი ძირითადად იზრდება ტყის ზონებში სალექ მდელოებზე, მთის რაიონებში რომელიც განირჩევა დიდი მრავალ ფეროვნებით მათ შორის მრავალ მცენარეს აქვს მაღალი კვებითი ღირებულება.

მეტად გავრცელებული მეზოფილური მარცლოვანი ბალახებია: მდელოს ტიმოთელა, უფხო შვრიელა უფესური ჭანგა, მდელოს წივანა, წითელი მწივანა, სათითურა, მაღალი, მრავალსათიბი და საძვრის კოთნდრები, მდელოს თავაქასრა, მდელოს მელაკუდა, მხოხავი ჭანგა, თეთრი ნამიკრეფია, ციმბირული ელიმუსი.

ჰიგროფილური მარცლოვანები იზრდება ტენიან მდელოებზე, ჭაობებზე, მდინარეთა ნაპირებზე, მათი კვებითი ღირებულება ხშირად არადიდია. მათი განსხვავებული თავისებურება არის ის, რომ ისინი ჩქარა უხეშდებიან და ჩვეულებრივ ადრეულ ასაკში–დათავთავებამდე კარგი ჭამადობისა არიან.

ჰიგროფილური მარცლოვნებიდან უფრო მეტად დამახასიათებელია ლერწმისებრი ჩიტიფეტვა, ჩვეულებრივი ლერწამი, წივანასმაგვარი ლერწამის სალამური.

ქსეროფიტურ მარცლოვნებს აქვს ისეთივე თავისებურება, როგორც ეს აღინიშნა ქსეროფიტების დახასიათების დროს–მცენარე მშრალი ადგილსამყოფნისა, იზრდება ტენის ნაკლებობის პირობებში. სეროფიტული მარცლოვნები-სამხრეთის ტიპური მცენარეებია მეზოფიტურ მარცლოვნებთან შედარებით ისინი ხშირად შეიძლება დახასიათებული იქნენ, როგორც მცირედირებულების საკვები მცენარეები, განსაკუთრებით ვეგეტაციის გვიან ფაზებში. თუმცა მათ შორისაც მცირე რაოდენობის არ არის მცენარეები მაღალი კვებითი ღირებულებით.

ქსეროფილური მარცლოვნები განვითარების ადრეულ ფაზაში გამოირჩევიან

მაღალი კვებითი ღირებულებით, კარგი ჭამადობით, როგორც თივში, ისე სამოვარზეც. ქსეროფილური მარცლოვანები შედარებით არადიდ მოსავალს იძლევა. დვახასიათოთ მეტად გავრცელებული მარცლოვანი ბალახების სახეობები.

სამოვრის კონდარი [2] მრავალწლოვანი დაბლარი მეჩხერბუჩქოვანი მარცლოვანია 15-65 სმ სიმაღლის. ინვითარებს დიდი რაოდენობის ფესვთანაურ ფოთლებს. ყვავილები თავთავია. ცხოველი კარგად ჭამს რადგან მწვანე მასა მდიდარია ფოთლებით, აქვს მაღალი კვებითი ღირებულება. იზრდება მხოლოდ რბილი, ტენიანი კლიმატის პირობებში. სამოვრის კონდარის ფართო გავრცელებას ხელს უშლის მისი სუსტი გვალვა. გამძლეობა და ზამთარგამძლეობა, წყლის დიდი ხნის დატბორვას ვერ უძლებს. იგი იზრდება კარგად მდიდარი ნეშომპალიან თიხნარ ნიადაგებზე. ცუდათ იზრდება მჟავე, მძიმე ნიადაგებზე და ქვიშიანებზე.

სათიბად გამოყენების შემთხვევაში ორ გათიბვაში ჰექტარზე 40ც. თივას იძლევა და ბალახთდგარში 3-4 წელზე მეტს ვერ ძლებს.

იგი სამოვრის ძვირფასი მცენარეა, დათესვი წელსავე იძლევა მასის დიდ მოსავალს (40-50 ც. მშრალი მასა ჰექტარზე). კარგად უძლებს ნიადაგის ძლიერ დატკეპვნას, ქმნის ხშირ კორდს. ხელსაყრელ პირობებში სამოვარზე კარგად დგას და ძალიან კარგად იტანს გამოვებას მრავალი წლის (25-50) განმავლობაში.

მდელოს თივაქასრა [2] მრავალწლოვანი დაბლარი ფესურიანი მარცლოვანია 40-50 სმ სიმაღლის. მნის ბევრ შემოკლებულ ვეგეტატიურ და ძალიან ცოტა გენერატიულ ყლორტებს ნიადაგში ფესვი 1მ. სიმაღლეზე ჩადის – ყვავილები საგველაა, სათიბად გამოყენების დროს იძლევა შედარებით არამცირე მოსავლის (25 ც. ჰექტარზე), მაგრამ სამაგიეროდ, როგორც სამოვრული მცენარე გამოირჩევა მაღალი პროდუქტიულობით და გამოვებისადმი დიდი გამძლეობით.

იზრდება სხვადასხვა ბუნებრივ კლიმატურ ზონაში, უმთავრესად ტყეებში და მთის რაიონებში. ყველაზე უკეთესად იზრდება ტენიან ადგილებზე მდინარისა და დედეების ბარში ხანმოკლე დატბორებით.

ნაკლებ მომთხოვნია ნიადაგისადმი, თუმცა მჟავე ნიადაგებს ვერც იტანს. კარგად იტანს მკაცრ ზამთარს, მაღალი ყუათიანობის გამო ყველა სახის ცხოველი ჭამს.

ბალახდგარში სამოვარზე ძლებს 50 წლამდე. დროული და რეგულარული გამოვება 12-15 სმ-ს სიმაღლეზე არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა მდელოს თივაქასრის პროდუქტიულობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობისა.

მდელოს თივაქასრა, განსხვავდება რა კარგი პროდუქტიულობით და გამოვების ამტანიანობით კულტურული სამოვრების მოწყობის დროს წარმოადგენს მკირფას კომპონენტს, განსაკუთრებით თეთრ სამყურასთან.

მდელოს მელაკუდა [2] მრავალწლოვანი ფესურიან-მეჩხერბუჩქიანი მარცლოვანია 70-80 სმ. სიმაღლის, ივითარებს დიდი რადენობის ფესვთანურ ფოთლებს.

ფესვთა სისტემა ნიადაგში აღწევს 80-100 სმ. სიღრმეზე. ყვავილენი-ცრუ თავთავი საგველია ტიმოთელისაგან განსხვავებით ცილინდრული არ არის, არამედ თავისკენ შევიწროვებულია.

მაღალი კვებითი ღირებულების გამო მდელოს მელაკუდას კარგად ჭამს პირუტყვი ჭალის მდელოზე არაიშვიათად ქმნის წმინდა ბალახთაგარს, თივის მოსავალი ჰექტარზე 20-50 ც. შეადგენს, ღეროს კარგი შეფოთვლის და ფესვთანური ფოთლები ტენიან ნიადაგზე იძლევა უხვ საკვებს.

გავრცელებულია ტყის ზონაში და მთებში ცუდად იტანს გვალვას, მაგრამ კარგად იტანს დიდი ხნით დატბორვას (50 დღე) და მკაცრ ზამთარს. სათიბად გამოყენების შემთხვევაში იძლევა 2განათიბს, ჰექტარზე 30-40 ცენტნერი საერთო მოსავლით.

მხოხავი ჭანგა [2] მაღლარი ფესურიანი მრავალწლოვანი მარცლოვანი ძლიერ განვითარებული ფესვთა სისტემის მქონე მცენარეა. მშრალობ მდელოებზე 50-80 სმ. სიმაღლეს აღწევს, ხოლო სალევ ჭალაზე 100-120 სმ. და მეტს.

სამოვარზე კარგად ჭამს მ. რ. პ. უფრო ნაკლებად ცხვარი და თხა, მაგრამ ყვავილობის შემდეგ მათი ღერო ხდება უხეში და ჭამადობა ცუდია, მხოხავი ჭანგა ყვავილობის დასრულებამდე გათიბული იძლევა კარგ, ნაზ, მაღალ ყუათიან თივას. მისი მოსავალი მდელოებზე ჰექტარზე 20-25 ც. შეადგენს.

იზრდება ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე, გვხდება ყველა კლიმატურ ზონაში და ხშირად დიდი რაოდენობით. კარგად იტანს დამლაშებულ ნიადაგებს

და დიდი ხნით დატბორებას (40-50 დღე). ავრცელებულია მდინარეთა ქალებში და ზომიერ ტენიან მდელოებზე სუსტ ბიცობიანი და მლაშე სტეპებზე, ტყეებში მუქ-წაბლა ნიადაგებზე. შეიძლება გამოვიყენოთ კულტურული სათიბებისა და საძოვრების მოსაწყობად.

თეთრი ნამიკრეფია [3] მრავალწლოვანი ფესურიანი მარცლოვანია, დიდი რაოდენობით აქვს ფესვთანური ფოთლები, გადაშლილი საგველათი. ახასიათებს კარგი კვებითი ღირებულება, თეთრი ნამიკრეფიას მაღალ მოზარდი ფორმები იძლევა 40-50 ც, ხოლო დაბალ მოზარდი საძოვრის ფორმები 20-30 ც. მშრალ მასას 3ა-ზე.

თეთრი ნამიკრეფია, ტენის მოყვარული მცენარეა, კარგად იზრდება და ვითარდება უხვი ნალექების პირობებში, უძლებს დიდი ხნის დატბორვას, ყინვისადმი გამძლეა და ცუდად იტანს გვალვას.

ნიადაგის მიმართ ნაკლებ მომთხოვნია, კარგად იზრდება მჟავატორფიან ნიადაგებზე, განსაკუთრებით გრუნტი წყლის ახლოს დგომის დროს.

უმთავრესად იზრდება ტყის ზონებში, უფრო ხშირად გვხვდება მდინარეთა ქალებში, ტენიან მდელოებზე. ბალახთაგარში დათესვისას დიდი ხნის განმავლობაში ძლებს (10 წლამდე). მაქსიმალურ მოსავალს იძლევა 3-4 წელს. თივას ჭამს ყველა სახის პირუტყვი.

თეთრი ნამიკრეფია [3] -საძოვრული მცენარეა, უძლებს გამოვებას, გამოვების შემდეგ ჩქარა წამოიზრდება, ხოლო თუ საძოვარზე წარმოიშვა თავისუფალი ადგილი მას შეავსებს. ხელს უშლის სარეველების განვითარებას, თეთრი ნამიკრეფია ბალახთაგარში ითესება სათიბ-საძოვრად გამოყენებისათვის.

ციმბირული ელიმუსი [3] -მრავალწლოვანი მეჩხერბუჩქოვანი მარცლოვანი, კარგი შეფოთლილი ღეროებით, სიმაღლე 1მ-მდე. ყვავილენი-ფხვიერი თავთავია.

კარგად განვითარებული ფესვტა სისტემა აქვს, რომელიც ნიადაგში 1მმ და მეტ სიღრმეში ჩადის.

იგი გვალვამძლე და ზამთარგამძლეა, ფართოდაა გავრცელებული ქალის მდელოებზე, მთის ფართობებზე, ქვიშიან და თიხნარ ნიადაგებზე.

მისი თივა გამოირჩევა მაღალი ყუათიანობით, შეიცავს 12-16% ნედლ პროტეინს, მიუხედავად ამისა მწვანე მასას პირუტყვი კარგად ჭამს, ვეგეტაციის ადრეულ ფაზაში, ხოლო დათავთავების შემდეგ მცენარე ხდება უხეში ფხიანი, ამიტომ ჭამადობა ცუდია.

თივის მოსავალი ჰა-ზე 20-30 ცენტნერია, იონჯასთან და წითელ სამყურასთან ნარევი 30-40ც ჰა-ზე. განსაკუთრებით ყინვა გამძლეობის გამო შეიძლება მოვიყვანოთ მაღალი მოსავალი იმ შემთხვევაშიც როცა სხვა საკვები კელტურები იყინებიან.

მახრჩობელა [2] ნახევრად მაღლარი მრავალწლიანი მკრივ ბუჩქოვანი მარცლოვანია სიმაღლით 60-80 სმ. ვიწრო ნათვალის მწვანე ფოთლებით ყვავილეთი-გადაშლილი საგველაა. იგი გავრცელებულია ტყისა და მთის ზონაში. იზრდება სველ, ტენიან მდელოებზე და ქმნის მკრივ კოლბოხისებრ კორდს. ხშირი მკრივი კორდი აძნელებს ნიადაგის ჰაერაციას და ახელს უწყობს მის დაჭაობებას. მახრჩობელას უკეთესად ჭამს ცხვარი, მხოლოდ გაზაფხულზე ადრე ახლად განვითარებულს. მისი თივის მოსავალი ჰა-ზე 10-20 ცენტნერია.

საკვებად ნაკლებად ვარგისია, რადგან ის მდელოს მდგომარეობას აუარესებს-სამოვრის აბეზარა სარქველთა, ძლიერ განვითარებულ ძვირფას ბალახებსაც შეუძლიათ მისი ჩახრჩობა.

ლელი [2] მაღალმოზარდი (დაახლოებით 2მ) ფესურიანი მაცვლოვანია მსხვილი უხეში ფოთლებით. გავრცელებულია ყველგან, იზრდება მდინარის ნაპირზე, წყალში, ხოლო მშრალში-იქ, სადაც გრუნტის წყლები მაღლა დგას. მოგვერ გვხდება ბიცობებზე, სადაც არის წვრილფერიანი და არადიდი სიმაღლის (25-40მ) ჩვეულებრივ ქმნის სუფთა შალდამს. იძლევა დიდი რაოდენობის საკვებ პროდუქციას (20-30 ტ მწვანე მასა) (7-10 ტ მშრალი მასა ჰა-ზე) მისგან თივას ამზადებენ საგველის ამიტონამდე, ამ დროს მოსავალი ჰექტარზე 15-30 ცენტნერია.

ახალგაზრდა ლელის ყუათიანობა მაღალია. ამ დროს მ. რ. პ. კარგად ჭამს. იგი გაუხეშების შემდეგ უარგისი ხდება საკვებად გამოყენებისათვის.

წითელი წივანა –დაბალი მრავალწლოვანი მარცლოვანია არამაღალი 30-70სმ ღეროებით. აქვს ბუჩქა, ფესურიანი და ფესურმეჩხეთბუჩქიანი ფორმები,

რომლებიდანაც ძვირფასად უკანასკნელი ორი ფორმა. ნიადაგური და კლიმატური პირობებისადმი ნაკლებ მომთხოვნია, უმთავრესად გავრცელებულია ტყის და მთიან ზონებში. იზრდება ისეთ ღარიბი ნიადაგებშიც კი, რომლებიც ცუდად არიან უზრუნველყოფილი საკვები ნივთიერებითა და ტენით. მას კარგად ჭამს პირუტყვი, რადგან ადრეულ ფაზებში ბევრ საკვებ ნივთიერებას შეიცავს. ძვირფასი სამოვრული მცენარეა, განსაკუთრებით გამოირჩევა ძოვებისადმი გამძლეობით. სწორი ძოვება ხელს უწყობს მის ჩქარა განვითარებას, განსაკუთრებით გზაფხულობით. გამოვების შემდეგ კარგად წამოიზარდება. ქვიშიან და ქვიშა ნიადაგზე ითვლება ძვირფას მარცლოვან კმპონენტად ხანგრძლივი სარგებლობის სამოვრების ბალახნარევისათვის.

ქუჩი [2] მრავალნაირი მკრივბუჩქოვანი დაბალი 30-50 სმ. სიმაღლის მარცლოვანია, დიდი რაოდენობის ვეგეტატიური ყლორტებით ფესვთანური ფოთლებით. ფოთლები ვიწრო, გრძელი, მწვანე-მონაცისფრო, ხორკლიანი.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპის მცენარეა. აქვს კარგი კვებითი ღირებულება შეიცავს დიდი რაოდენობით საკვებ ნივთიერებას და გამოირჩევა კარგი მონელებადობით.

ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე ქუჩი ჰექტარზე 2,5-4ც. თივის მოსავალს იძლევა სამოვარზე კი 10-15 ტ. სამოვრულ ბალახს ჰექტარზე. ძალიან გვალვაგამძლე, ზამთარგამძლე, ნაკლებ მომთხოვნია ნიადაგური პირობებისადმი უნარი აქვს აიტანოს დამლაშებული ნიადაგები. კარგად ჭამს ყველა სახის პირუტყვი, ქმნის მკრივ კორდს.

გზაფხულზე იგი იძლევა კარგ საკვებს, შემდეგ ჩქარა იწყებს გაზდომას და გაუხეშების შემეგ მისი ჭამადობა მკვეთრად მცირდება. ფესვთანური ფოთლები და გვიან შემოდგომამდე იგი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ გასამოვებლად. იგი ძვირფასი მცენარეა ზამთრის სამოვრებისათვის, რომელიც მწვანე მასას ზამთარშიც კი ინარჩუნებს.

ქუჩი ძოვების გამძლეა, გამოვების შემდეგ კარგად წამოიზარდება. სწორი ზომიერი გამოვება იწვევს ბალახთდგარში მის სიჭარბეს სხვა ბალახების ხარჯზე

და ხშირად ძლიერი გამოვების შემთხვევაში იგი იწყებს ბალახდგარიდან ამოვარდნას.

ვაციწვერა - წვრილი, ვიწროფოთლიანი, უხეში მცენარე იგი იზრდება ჩვეულებრივ ყამირ მიწებში. ვაციწვერების ყუათიანობა არამაღალია, რადგან აქვს უხეში ღეროები და ფოთლები, მათი ჭამადობა ცუდია, კარგი ჭამადია განვითარების ყველაზე ადრეულ ფაზებში ყველაზე უკეთესად მას ცხენი, შემდეგ ცხვარი და მ რ. პ. ჭამს. ცუდად ჭამს აქლემი. ვაციწვერა უმთავრესად სამოვრული მცენარეა. ვაციწვერას შორის კარგი ჭამადობით გამოირჩევა ლისინგის ვაციწვერა.

ცილინდრული ეგილოფსი ანუ ველური ხორბალი-ერთწლოვანი მცენარეა 20-50 სმ. სიმაღლისა. გავრცელებულია ნახევარუდაბნოსა და უდაბნოს ზნებში. სამოვარზე გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში კარგად ჭამს პირუტყვი, თივად კი ცუდად. მოსავალი ჰექტარზე 4-8 ცენტნერამდეა.

პარკოსნები პარკოსანი ბალახების უმრავლესობა მრავალწლოვანია [2] მათი ღერო რომელიც ვითარდება კვირტიდან გარეგნული ფორმით განსხვავებულია. ზოგიერთების ღერო სწორმდგომია (ესპარცატი, წითელისამყურა და სხვა).

მიწაზე განთხმული მისაკიდი, პარკოსან ბალახთა ღეროს მარცლოვნებისაგან. განსხვავებით აქვს კენწრული ზრდა. ფოთლები ჩვეულებრივ მორიგეობითია, რთული, თანაფოთლებიანი. ყვავილეთი თავაკა, მტევანია. ნაყოფი ერთი ან მრავალთესლიანი პარკია –განსხვავებული სიდიდისა და ფორმის.

პარკოსან ბალახთა ფესვთა სისტემა მთავარ ღერძიანია, რომელთა შორის ღერძი (ყვითელი იონჯა, კურდღლის ფჩხილა და სხვა) ნიადაგში აღწევს რამდენიმე მეტრ სიღრმეზე. გვერდითი ფესვებიც აგრეთვე აღწევენ მნიშვნელოვან სიღრმეს, რაც ამ მცენარეებს ქმნიან გვალვამძლე მეცენარეებად, განსაკუთრებით სტეპისა და მშრალ ზონაში.

სათიბებისა და სამოვრების ბალახოვან სათიბში პარკოსნები საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ, მხოლოდ მარცლოვნებს ჩამორჩებიან. დიდია პარკოსნების წილი მთისა და ტყის ზონის სათიბებზე, სადაც ისინი მთელი მასის 10-20%-ს შეადგენს.

პარკოსან მცენარეებს ახასიათებს ცილების დიდი რაოდენობა პარკოსნების თივაში მონელებადი ცილა საშუალოდ 5-6%-ია, მაგრამ ზოჯჯერ, განსაკუთრებით ყვავილობის წინ, 10%-მდე აღწევს. საკვები ერთეულების შედარებისას პარკოსნები მარცლოვნებს არ ჩამორჩებიან.

პარკოსანი მცენარეების კარგი ჭამადობა აიხსნება იმით, რომ პარკოსანთა მნიშვნელოვან რაოდენობას ხანგრძლივი ყვავილობის პერიოდი აქვს. არკოსნები ძალიან ხშირად ზაფხულის განმავლობაში და შემოდგომითაც კი განუწყვეტლივ ყვავილობენ და სხმოიარობენ, მაგრამ ყვავილობისა და მსხმოიარობია შემდეგაც, უფრო ნაკლებად უხემდებიან და უფრო ხალისით იძოვება, ვიდრე სხვა მარცლოვნები ამ პერიოდში. პარკოსნების ძოვების პერიოდი 1,5-2-ჯერ უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მარცლოვნებისა, რაც სამოვრული გამოყენებისათვის ძლიერ მნიშვნელოვანის. პარკოსნებს კარგად ძოვენ მ. რ. პ და ცხენი, რამდენადმე უფრო ცვლად წ .რ პ. ზოგი მაღალ ყუათიანი პარკოსანი მაგალითად: სამყურა, იონჯა, ძიძო, მწვანე სახით გამოკვების დროს არაიშვიათად პირუტყვის ტიმპანტით დაავადებას იწვევს.

ტიმპანტით დაავადება ჩვეულებრივ დამშეული ცხოველის დიდი რაოდენობით მწვანე საკვებით გამოკვების დროს ხდება. ის რომ თავიდან ავიცილოთ, რეკომენდირებულია გატარებული იქნეს შემდეგი გამაფრთხილებელი ზომები: ნაკვეთზე სადაც დიდი რაოდენობითაა პარკოსნები დამშეული პირუტყვი არ უნდა გაუშვად სამოვრად, აგრეთვე წვიმის ან წვიმის შემდეგ სველი ბალახის ძოვება.

თეთრი სამყურა ანუ მხოხავი სამყურა-დაბალ მიზარდი მცენარეა (15-50 სმ) გრძელი მხოხავი დატოტვილი ღეროებით. მნიშვნელოვნად შეფოთლილია, ყვავილეთი თავაკი, თეთრი ან ღია ვარდისფერია-ნაყოფი მრავალთესლიანი პარკია. თესლი წვრილი, ყვითელი ფერისაა, ფესვთა სისტემა ძლიერ დატოტვილია.

მისი გათიშული მასა ნკლები პროდუქტიულია, ვიდრე წითელი სამყურასი, ზაფხულში იძლევა ერთ გათიშვას. თივის მოსავლით 15-30 ც. ჰექტარზე როგორც სამოვრულ მცენარეს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. კარგად იტანს დატკეპნას, დაბალზე გამოვებას და ხშირად გამოყენებულ სამოვრებზე მრავლდება

დიდი რაოდენობით. გამოვების შემდეგ სწრაფად წამოიზრდება მთელი სეზონის განმავლობაში იძლევა ნაზ, მაღალი ყუათიანობის მწვანე მასას, რომელიც შედგება დიდი რაოდენობის ფოთლებისაგან.

იგი ერთადერთი პარკოსანი მცენარეა, რომელიც ხელსაყრელი გამოყენებისა და ინტენსიური საძოვრების რეჟიმის პირობებში ბალახთდგარში გვხვდება ხანგრძლივი სარგებლობის კულტურულ საძოვრებზე (10 წელზე მეტი). საძოვრული ბალახის მოსავალი ჰექტარზე 60-100 ც-ს შეადგენს.

გავრცელებულია ტყისა და მთის ზონებში. კარგად იტანს მკაცრ ზამთარს. უფრო გვალვამძლეა ვიდრე წითელი სამყურა, იზრდება სხვადასხვა ნიადაგებზე, მაგრამ მისთვის უკეთესად ითვლება თიხნარა და თიხიანი ნიადაგები. იტანს ხანგრძლივი დროით დატბორებას, ამასთან ჭაობის ნიადაგებზე კარგად შეუძლია გაიზარდოს მისი დაშრობის შემდეგ. აღსანიშნავია –ტყისა და ჭროლა სამყურა.

კურდღლის ფჩხილა – მრავალწლოვანი მცენარეა, ძალიან მწოლარე და ზევით აწეული ღეროებით.

გამოირჩევა კარგი შეფოთვლით ფოთლები მთელი მცენარის წონის 50%-ს აღწევს. მისი ძლიერი ფესვთა სისტემა ნიადაგში 1,5 მ. სიღრმემდე აღწევს.

აქვს კარგი შეფოთვლა, რბილღეროიანობა და მაღალი ყუათიანობა (შეიცავს 20-მდე პროტეინს) მას ხდის ერთ საუკეთესო საკვებ ბალახად. ყველა სახის პირუტყვი კარგად ჭამს. კარგი საძოვრული მცენარეა ფართოდ ინერგება კულტურაში. პერსპექტიული საკვები მცენარეა. იძლევა კარგ მოსავალს ჰექტარზე 20-30 ცენტნერ თივას. გავრცელებულია ტყის ზონის სამხრეთ რაიონებში და ჩრდილო კავკასიაში. გამოირჩევა გვალვამძლეობითა და ზამთარგამძლეობით, მაგრამ ცუდათ იტანს უთოვლო ზამთარს. ნიადაგის პირობების მიმართ ნაკლებ მომთხოვნია.

კარგად ვითარდება ტენიან, თიხნარ და ჭაობიან ნიადაგებზე. ეგუება მშრალქვიშნარ და ქვიშა ნიადაგებს. აგრეთვე იზრდება მჟავე გავრცელებულ ნიადაგებზე.

კარგი კომპონენტია პარკოსან-მარცლოვან ბალახნარებში, განსაკუთრებით არამავმიწანიადაგიან ზოლში. გათიბვისა და გამოვების შემდეგ კარგად

წამოიზრდება და მწვანედ რჩება გვიან ღრმა შემოდგომამდე, რაც ადიდება მის კვებით ღირებულებას.

ძიძო-აქვს გრძელი დატოტვილი შეფოთლილი ღეროები ძლიერი, ღრმადზარდი ფესვთა სისტემა, რის გამოც კარგად იტანს გვალვას. ცნობილია ძიძოს 20-მდე სახეობა ველურად მოზარდი სახით. იგი უფრო იზრდება გვალვიან რაიონებში. ძიძო კარგი მაღალი კვებითი ღირებულების ბალახია, მაგრამ ცხოველი ადრეულ ფაზებში ჭამს უკეთესად. ძიძოს ღეროები ყვავილობის დაწყების დროს ძლიერ უხეშდება და ასაკთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება კუმარინის შემცველობა, რომელსაც აძლევს მკვეთრ სუნს და მწარე გემოს. ამიტომ მიზანშეწონილია ძიძოთი ცხოველი გამოიკვებოს ყვავილობის დაწყებამდე. ამავე მიზეზით თივას მას იყენებენ იშვიათად, ხოლო საძოვრად ცხოველი ხალისით ჭამს. არსებობს ძიძოს ორი სახეობა: თეთრი ძიძო და ყვითელი ძიძო.

თეთრი ძიძო - ორწლიანი, იშვიათად ერთწლიანი მცენარეა 0,7-სმ სიმაღლის, გრძელი დატოტვილი ღეროებით, კარგად შეფოთლილია. ფოთლები სამფოთოლაკიანია, ყვავილედ-გრძელი მტევანია თეთრი ყვავილებით. აქვს ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ნიადაგში 2მ სიღრმემდე აღწევს, უნარი აქვს გაიზარდოს ძალიან არახელსაყრელ პირობებში.

როგორც საკვები მცენარე, ყუათიანობით სამყურაზე ნაკლებია, განვითარების ადრეულ ფაზებში იძლევა მაღალყუათიან საკვებ პროდუქციას. შეტანილია კულტურაში. ველური ძიძოს მოსავალი 10-30ც შეადგენს, ხოლო კულტურული ძიძო 40-60ც, ხოლო ხელსაყრელ პირობებში ჰექტარზე 100 და მეტ ცენტნერს აღწევს.

ველურად მოზარდი გვხდება ტყე-სტეპებში. თეთრი ძიძო ხარობს დამლაშებულ ნიადაგებზე, ღრმა ბიცობებზე და მლაშობებზე, ძლიერ ნიადაგებზე, შავმიწებზე.

თეთრი ძიძო - ორწლიანი, იშვიათად ერთწლიანი მცენარეა 0,7-სმ სიმაღლის, გრძელი დატოტვილი ღეროებით, კარგად შეფოთლილია. ფოთლები სამფოთოლაკიანია. ყვავილედ-გრძელი მტევანია თეთრი ყვავილებით. აქვს ძლიერი ფესვთა სისტემა,

რომელიც ნიადაგში 2მ სიღრმემდე აღწევს, უნარი აქვს გაიზარდოს ძალიან არახელსაყრელ პირობებში.

როგორც საკვები მცენარე ყუათიანობით სამყურაზე და იონჯაზე ნაკლებ მნიშვნელოვანია, განვითარების ადრეულ ფაზებში იძლევა მაღალყუათიან საკვებ პროდუქციას. შეტანილია კულტურაში. ველურად მოზარდი ძიძოს მოსავალი 10-30ც შეადგენს, ხოლო კულტურული ძიძო 40-60ც, ხოლო ხელსაყრელ პირობებში ჰექტარზე 100 და მეტ ცენტნერს აღწევს. ველურად მოზარდი სახით გვხვდება ყველგან, მაგრამ უაღრესად გავრცელებულია ტყის ზონებში. ნაკლებად მომთხოვნია ნიადაგისადმი, იზრდება დამლაშებულ ნიადაგებზე, ღრმა ბიცობებზე და მლაშობებზე, მუქ-წაბლისფერ და ძლიერ ტენიან ნიადაგებზე. მათთვის საუკეთესოდ ითვლება შავმიწები და მარილიანი ნიადაგები.

თეთრი ძიძო უმჯობესია გამოვიყენოთ საძოვრულ საკვებად, თუმცა იძლევა კარგი ხარისხის თივასაც. მოსავლის თივად აღების დროს ფოთლები შესამჩნევად სწრაფად შრება, ვიდრე ღეროები და ცვივა. მცენარის ყველაზე ყუათიანი ადგილი იკარგება, თუმცა ამ შემთხვევაშიაც ცხოველები თივას ხალისიანად ჭამენ. თეთრი ძიძო აგრეთვე გამოვიყენოთ სასილოსად და მწვანე სასუქად. იგი გამოირჩევა არადიდი მოსავლიანობით, მაგრამ კარგი კვებითი თვისებები, მაღალი გვალვაგამძლეობით.

ყვითელი ძიძო-გარეგნულად გავს თეთრ ძიძოს, მაგრამ გამოირჩევა ყვავილების ყვითელი ფერით. საკვებად აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც თეთრ ძიძოს. უფრო გვალვაგამძლეა, ამიტომ როგორც ველურმოზარდი მცენარე იზრდება უფრო გვალვიან რაიონებში სტეპებში.

ცერცველა – გავრცელებულია 72 სახეობით, წარმოდგენილი მრავალწლიანი და ერთწლიანი მცენარეების სახით. ერთწლიანებიდან კულტურაში შეტანილია ჩვეულებრივი სათესი ცერცველა და საშემოდგომო ჩერჩველა. ისინი ფართოდ გავრცელებულია ტყის ზონებში და მთისპირებში.

ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე იზრდება ცერცველის მრავალწლიანი სახეობებიც, რომელიც შეგუებულნი არიან ადგილსამყოფლის მრავალწლიან

პირობებს: იზრდება ჭალის მდელოებზე, მშრალობებზე, სტეპში, ტყეებში, მთის ფერდობებზე, და როგორც სარეველა.

ცერცვალას თითქმის ყველა სახეობა-კარგი საკვები ბალახებია, რომლებიც იძლევა ყუათიან საკვებს ცილოვანი ნივთიერებების დიდი შემცველობით. კარგად ჭამს პირუტყვი, როგორც თივაში ისე სამოვარზე.

თავის ცურცველა-ფესურიან მრავალწლიანი მცენარე წვრილი, გრძელი, კარგად შეფოთილი, მისაკიდი ღეროებით 30-100სმ სიმაღლის ფესვთა სისტემა ნიადაგში აღწევს 2-2,5მ სიღრმეზე. ფოთლები წყვილ ფრთალებულია, ქვედა ვიწრო ნაზი ფოთოლაკებით. კარგი შეფოთვლა (ფოთოლთა რაოდენობა წონა მოსავლის 60-70% შეადგენს) აქვს მაღალი კვებითი ღირებულება. ცხოველები კარგად ჭამენ თივის სახით, ასევე სამოვრებზე.

სამოვრული გამოყენების დროს ჩვეულებრივ ბალახთდგარიდან ქრება, ამიტომ ის მიზანშეწონილია გამოვიყენოდ თივად. კლიმატისადმი არ არის მომთხოვნი, გვალვამძლე და ზამთარგამძლეა.

ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე იზრდება ჭალის მდელოებზე, ზომიერად ტენიან ნიადაგებზე, იტანს მოკლე დროით დატბორვებს. არგად იზრდება ბალახთდგარში უფრო შვრიელსთან, მდელოს ტიმოთელასთან და მდელოს წივანასთან ერთად. ნათესებში ძლებს 6-7 წელს.

ჩვეულებრივი ცერცვეკალა-მრავალწლიანი მეჩხერ ბუჩქიანი, 60-100 სმ. სიმაღლის, უხეში მყარედ შეფოთილი ღეროებით. აქვს არადიდი ფოთლები, რომლის საფუძველთან არის ეკლები. ძლიერი ფესვთა სისტემა ღრმად ჩადის მიწაში.

ცერცვეკალა იზრდება კავკასიაში და საქართველოს მაღალმთიანეთში. სამოვრებზე ჭამს მხოლოდ აქლემი და ცხვარი, თითქმის არ ჭამს ცხენი და მ. რ. კ. ცერცვეკალას დაქუცმაცება (მკვეთრად განსაკუთრებით დაფქვა თივის ფქვილად) ადიდებს ჭამადობას 80%-მდე. შემოდგომა ზამთრის პერიოდში, როდესაც ამინდის პირობების გავლენით ეკლები და ტოტები რბილდება, ჭამადობა უკეთესია. საშუალო საკვები მცენარეა არამაღალი კვებითი ღირებულებით.

მიწისქვეშა სამყურა-ერთწლიანი მცენარეა 40 სმ-სიმაღლის, მწოლარე დატოტვილი ღეროებით. ფოთლები გრძელ ყუნწებზეა. ყვავილედ-თავაკია, არადიდი რაოდენობის თვითდამტვერავი ყვავილებით, ღია ვარდისფერი შეფერვის. მიწის ზედა მასა სუსტად შებურულია. აყვავილების დროს თავაკი გადმოიღუნება ნიადაგის ზედაპირისაკენ, თესლი მწიფდება ნიადაგში და მომავალ წელს იწყებს აღმოცენებას. ველურად იზრდება საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე. ნიადაგის მიმართ არის მომთხოვნი, უაღრესად იზრდება მდელოებზე, ბუჩქებს შორის. სარწყავ პირობებში პერსპექტიული სამოვრული მცენარეა. გავრცელებულია სამყურას შემდეგი სახეობები: გადაშლილი სამყურა, ალექსანდრული სამყურა, მათ აქვთ განსაკუთრებული კვებითი მნიშვნელობა, პერსპექტიული არიან კულტურაში შესატანად.

ისლისებრთა ოჯახი-ვრცლად და ფართოდ გავრცელებულია მთელ დედამიწაზე. მას ეკუთვნის 3000 მეტი სახეობა. ოჯახში შედის მრავალწლიანი მცენარეები და იშვიათად ერთწლიანიც.

მცენარის ღერძი სამწახნაგაა ან ცილინდრული მუხლში გამსხვილების გარეშე, ამოვსებულია პარენქიმით, როგორც მარცლოვანებში. ფოთლები განლაგებულია სამ რიგად, ხაზურად. ყვავილედი სხვადასხვანაირია-თავთავისებრი, საგველა და სხვა წვრილი უფერული ყვავილებით.

ისლები გავრცელებულია ყველგან, განსაკუთრებით ტყის ზონაში. უმთავრესად იზრდება ტენიან, ზოგჯერ დაჭაობებულ ნიადაგებზეც კი, მდინარეთა და ტბის ნაპირებზე, მაგრამ ზოგიერთი მათგანი გვხვდება აგრეთვე მშრალ ადგილებშიც უდაბნოსა და მთის რაიონებში.

ისლისებრი შეიძლება მიეკუთვნოს კვებითი ხარისხის მიხედვით, საშუალოს და ცუდს. ზოგიერთი მათგანი შეიძლება შეფასდეს, როგორც კარგი და დამაკმაყოფილებელი კვებითი თვალსაზრისით. ისლების უმრავლესობა არაჭამადია ან ცუდჭამადი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მაღალყუათიანი (საშუალო პროტეინი 14,1%-ია) რადგან მათი ღეროები და ფოთლები მაგარია, ძლიერ გაჟღენთილია კაჟოვანებით. ისლისებრთა ჯგუფს მიეკუთვნოს შემდეგი გავრცელებული სახეობები: ისლი, ლელქაში, წყლის ბამბა, კობრეხია.

ისლი - ვრცელი გვარია, ითვლის 1000 სახეობაზე მეტს. არჩევენ ისლებს მსხვილლეროიანს და წვრილლეროიანს. მსხვილლეროიანი (სიმაღლით 5-150 სმ) იზრდება ჭაობებში, სველ მინდვრებზე ხშირად ქმნის მთელ შალდამებს და იძლევა ჰექტარზე 25-30 ც. მშრალ მასას.

წვრილლეროიანი ისლები იზრდება გვალვიან ადგილებში სტეპებში და უდაბნოებში. მათი ღერო წვრილია, 50-30 სმ. სიმაღლის, ფოთლებით ვიწროა მშრალი მასის მოსავალი ჰექტარზე 5-10 ცენტნერია.

კვებითი ღირებულება დაბალია, განსაკუთრებით მსხვილლეროიანი ისლებისა, რომლებიც იზრდება სველ დაჭაობებულ მჟავე ნიადაგებზე, მათი ჭამის დროს არაიშვიათად პირუტყვი ხდება, ხოლო ხბორები ავადმყოფდებიან რახიტით. მთის რეგიონებში წვრილ ისლებს კარგად ჭამს პირუტყვი, აქვთ ამ რაიონებში დიდი კვებითი მნიშვნელობა.

ისლების ჭამადობა პირუტყვის სახეობების მიხედვით არაერთნაირია. თყის ზონაში კარგად ჭამს მ. რ. კ. და თხა. შეიძლება აღინიშნოს, რომ უხეშ ყვავილობამდე გათიბულ ისლსაც კი აქვს კვებითი მნიშვნელობა, განსაკუთრებით დასილოსებული სახით. მიუხედავად ცუდი ჭამადობისა, ისლები ერთეულ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კვების ბალანსში.

ზღვის ლელქაში - მრავალწლოვანი ფესურიანი მცენარეა 60-70 სმ სიმაღლის. ავრცელებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საძოვრებზე მ. რ. კ. და ცხენი ჭამს დამაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით გაზაფხულზე და ზაფხულში დათავთავებამდე. უფრო გვიან ფაზებში საკვებად გამოყენება შეუძლებელია. კარგად სილოსდება, სილოსი დამაკმაყოფილებელი ხარისხისაა და არც თუ ცუდად ჭამს პირუტყვი.

წყლის ბამბა-ჭამადობის მცენარეა, არაიშვიათად ქმნის უდიდეს შლამებს. იზრდება ჭარბ დატენიანებულ ნიადაგებზე ტყის ზონაში, უმეტესად დაჭაობებულ მდელოებზე. ცნობილია წყლის ბამბის 12 სახეობა, რომელთა უმრავლესობას ცუდად ჭამს ან სრულიად არ ჭამს ცხოველები, კვებითი მნიშვნელობა არ აქვს.

კობრეხია - მრავალწლოვანი ფესურიანი მცენარეა 10-40 სმ. სიმაღლის წვრილი ღეროებით და ვიწრო უხეში ფოთლებით.

გავრცელებულია მაღალმთიან რაიონებში. საქართველოში წარმოდგენილია მისი რამოდენიმე სახეობა, მათ შორის ბელიარდის კობრეზია. ვეგეტაციის ადრეულ ფაზაში კარგად ჭამს პირუტყვი. სქელ ადგილებში იზრდება ჭილები-ჭილისებრთა ოჯახიდან, რომლებიც ძალიან ახლოსაა ისლისებრთა ოჯახთან, როგორც შინაგანი ასევე გარეგანი სახით.

